ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 07 მარტის მორიგი სხდომის

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიში.

მომხს: ვლადიმერ გელაშვილი

2. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

მომხს: კახაბერ გოლუბიანი

3. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 დეკემბრის N24 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს:ვლადიმერ გელაშვილი

4. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 14 მარტის №7 დადგენილების ,,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სარეზერვო ფონდის განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ," ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

5.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ხარაგაულისთვის“,

რეგისტრაციის ცნობად მიღების შესახებ

მომხს: ოთარი ლურსმანაშვილი

6. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ხარაგაულისთვის“ თავმჯდომარის არჩევის ცნობად მიღების შესახებ

მომხს: ოთარი ლურსმანაშვილი

7. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ხარაგაულისთვის“ თავმჯდომარის მოადგილის არჩევის ცნობად მიღების შესახებ

მომხს: ოთარი ლურსმანაშვილი

8. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 03 დეკემბრის საკრებულოს N 50 /69.692133728 განკარგულებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ოთარი ლურსმანაშვილი

სხვადასხვა

1. საკრებულოს თავმჯდომარის ინფორმაცია
2. უკრაინის დასახმარებლად დაგეგმილი ღონისძიების გაცნობა

მომხს: დავით კიკნაძე

საკრებულოს თავმჯდომარე **მანანა ბარბაქაძე**

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 07 მარტის მორიგი სხდომის

ოქმი N 4

2022 წლის 07 მარტი

დაბა ხარაგაული

9 აპრილის ქუჩა #15

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე

სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: დავით კიკნაძე, ამირან ოქრომჭედლიძე, პაატა გოგოლაძე, ოთარ ლურსმანაშვილი, მარინა ხვედელიძე, ბესიკ კვირიკაშვილი, პავლე კიკალიშვილი, შმაგი ხიჯაკაძე, შალვა ლურსმანაშვილი, თორნიკე ავალიშვილი, ნონა ზურაბიანი, ირმა ვაქერ - სებისკვერაძე, უშანგი ბერაძე, ბაქარი ბარბაქაძე, კიაზო გამრეკელაშვილი, დოდო ხაჩიძე, ლენა აბაშიძე, გოჩა გიორგიძე, ავთანდილ ვეფხვაზე, ეკატერინე შველიძე, კობა გოგსაძე, ირმა ვეფხვაძე, კონსტანტინე ბერაძე, ომარი გაგოშიძე სულ საკრებულოს 26 წევრი

სხდომას ესწრებოდნენ:

მერიის წარმომადგენლები:

ვარლამ ჭიპაშვილი - მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე

კახაბერ გოლუბიანი- ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი

ვლადიმერ გელაშვილი - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი

ნინო მაღლაკელიძე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი.

საკრებულოს აპარატის წარმომადგენლები:

ლენა კალანდაძე– საკრებულოს აპარატის უფროსი,

ნინო თხელიძე - საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში.

საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლები:

ე. შავიძე - ა.ა.(ი)პ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების ცენტრის“ დირექტორი,

მ. შათირიშვილი - მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების სპეციალისტი

ნინო კაპანაძე გაზეთ „ჩემი იმერეთის“ ჟურნალისტი

ს. გლუნჩაძე -ოპერატორი

მოისმინეს: საკრებულოს თავმჯდომარის მანანა ბარბაქაძის ინფორმაცია, მან საკრებულოს წევრებს წარუდგინა სხდომის დღის წესრიგი

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიში.

მომხს: ვლადიმერ გელაშვილი

2. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

მომხს: კახაბერ გოლუბიანი

3. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 დეკემბრის N24 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს:ვლადიმერ გელაშვილი

4. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 14 მარტის №7 დადგენილების ,,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სარეზერვო ფონდის განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ," ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

მომხს:ვლადიმერ გელაშვილი

5.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ხარაგაულისთვის",

რეგისტრაციის ცნობად მიღების შესახებ

მომხს: ოთარი ლურსმანაშვილი

6. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ხარაგაულისთვის" თავმჯდომარის არჩევის ცნობად მიღების შესახებ

მომხს: ოთარი ლურსმანაშვილი

7. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ხარაგაულისთვის" თავმჯდომარის მოადგილის არჩევის ცნობად მიღების შესახებ

მომხს: ოთარი ლურსმანაშვილი

8. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 03 დეკემბრის საკრებულოს N 50 /69.692133728 განკარგულებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს შემადგენლობის დამტკიცების შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ოთარი ლურსმანაშვილი

სხვადასხვა

1. საკრებულოს თავმჯდომარის ინფორმაცია
2. უკრაინის დასახმარებლად დაგეგმილი ღონისძიების გაცნობა

მომხს: დავით კიკნაძე

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულო 26 წევრი

მომხრე 26

წინააღმდეგი 0

დღის წესრიგი დამტკიცებული იქნა (თან ერთვის)

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსის ვლადიმერ გელაშვილის ანგარიში ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ **(თან ერთვის)**

აზრი გამოთქვეს:

თ. ავალიშვილმა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" თავმჯდომარემ, მან დასვა შეკითხვა რამდენ ლარს შეადგენდა 2021 წლის გარდამავალი ნაშთი და საიდან იყო ეს თანხა?

ვ. გელაშვილმა მომხსენებელმა უპასუხა, რომ ეს იყო თანხა ეკონომიის, დამატებითი ქონების შემოსავალი და ნაწილი გარდამავალი პროექტების ხარჯები

თ. ავალიშვილმა ასევე დააყენა წინადადება შპს „ხარაგაული - 2011“ პროფილის შეცვლის შესახებ და უპატრონო ძაღლების კუთხით საქმიანობის თაობაზე . და დაასახელა გარკვეული ხარჯები, რომლის მიმართვაც ამ მიზნისათვის მიაჩნდა მიზანშეწონილად.

ვ. ჭიპაშვილმა მერის პირველმა მოადგილემ, მას უპასუხა, რომ თანხის ის ოდენობა , რომელიც თქვენს მიერ იქნა დასახელებული 170 000 ლარი, რომელიც ავტომანქანების შესაძენად არის გამოყოფილი ძაღლების თავშესაფრის მოსაწყობად ვერ იქნება საკმარისი, რადგან ჩვენი ინფორმაციით ეს პროექტი გაცილებით ძვირი ჯდება. ოპონენტების მხრიდან ხშირად მანქანების შეძენის საკითხი იქცა პოპულიზმად, ავტომანქანები მხოლოდ სამსახურებრივად არის გამოყენებული სამსახურების მიერ და ეს აუცილებელია მათი საქმიანობის ხელშეწყობისათვის, მან ასევე გააკეთა მოკლე მიმოხილვა 2021 წლის ბიუჯეტთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ 2021 წელს შემოსულობების გეგმა 106 % -ით შესრულდა, 2018 წელს დაწყებული ორი პროექტი იქნა დასრულებული 2021 წელს, რაც შეეხება ტურიზმს 18 000 ლარი ჩაიდო ტურიზმის განვითარებისათვის, დამზადდა ბუკლეტები, ანიმაცია, ვიდეო რგოლები, შეიქმნა დასურათებული ტურისტული ლოკალიზაციის ბაზა, იგეგმება ხარაგაულის წარდგენა და სხვა.

პ. კიკალიშვილმა საკრებულოს საფინანსო საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ კომისიის სხდომაზე განხილული იქნა 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში,ბევრი მიმართულებით წინსვლა არის, კომისია მიღწეულ შედეგებს აფასებს დადებითად და შემოდის წინადადებით, რომ დამტკიცდეს წარმოდგენილი ანგარიში

მ. ხვედელიძემ საკრებულოს განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ კომისიის სხდომაზე განხილული იქნა 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში, კომისია მიღწეულ შედეგებს აფასებს დადებითად და შემოდის წინადადებით, რომ დამტკიცდეს წარმოდგენილი ანგარიში

შ. ხიჯაკაძემ საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ კომისიის სხდომაზე განხილული იქნა 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში, კომისია მიღწეულ შედეგებს აფასებს დადებითად და შემოდის წინადადებით, რომ დამტკიცდეს წარმოდგენილი ანგარიში

ბ. კვირიკაშვილმა ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასრტუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ თითქმის გაზრდილია ბიუჯეტი ყველა მიმართულებით ინფრასტრუქტურული პროექტების მიმართულებით, რაც მისასალმებელია, კომისიის სხდომაზე განხილული იქნა 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში, კომისია მიღწეულ შედეგებს აფასებს დადებითად და შემოდის წინადადებით, რომ დამტკიცდეს წარმოდგენილი ანგარიში

დ. კიკნაძემ საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ აღნიშნა, რომ იმერეთის რეგიონში ყველაზე დიდი სოციალური დახმარების პროგრამა გვაქვს, 22 კომპონენტისგან შედგება,

ვეხმარებით მოსახლეობის დიდ ნაწილს, ინფრასტრუქტურის კუთხით ჩავარდნების გამო

უარყოფითად ვაფასებდით მერიის სამსახურების საქმიანობას, ახლა შესრულება 96 % -ია, ეს არის

მუშაობის შედეგი, მხარს ვუჭერ დამტკიცდეს წარმოდგენილი ანგარიში.

პ. გოგოლაძემ უპასუხა საკრებულოს წევრის ომარი გაგოშიძის რეპლიკას დაბაში გზის

რეაბილიტაციასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ გეთანხმები, გაჭიანურდა პროექტი, მაგრამ ხომ

ვხედავთ მიდის აქტიური მუშაობა, აქ მუნიციპალიტეტმა რა უნდა გააკეთოს.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის წინადადება ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების თაობაზე.

კენჭის ყრაში მონაწილეობას ღებულობდა საკრებულოს 26 წევრი

მომხრე 20

წინააღმდეგი 4

თავი შეიკავა 2

საკრებულომ გადაწყვიტა : განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის კახაბერ გოლუბიანის ანგარიში ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ **(თან ერთვის)**

აზრი გამოთქვეს:

მ. ხვედელიძემ საკრებულოს განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ, რომელმაც დააყენა წინადადება სამსახურის საქმიანობის დადებითად შეფასების თაობაზე

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა მ. ხვედელიძისწინადადება ადმინისტრაციული სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის დადებითად შეფასების თაობაზე

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 26 წევრი

მომხრე 21

წინააღმდეგი 0

თავი შეიკავა 5

საკრებულომ გადაწყვიტა : განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსის ვლადიმერ გელაშვილის ინფორმაცია საკითხზე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 დეკემბრის N24 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე **(თან ერთვის).**

აზრი გამთქვეს:

პ. კიკალიშვილმა საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, რომელმაც აღნიშნა, რომ

კომისიის სხდომაზე განიხილა აღნიშნული საკითხი და მხარს უჭერს წარმოდგენილ ცვლილებას,

შ. ხიჯაკაძემ ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ რომელმაც აღნიშნა, რომ კომისიის სხდომაზე განიხილა აღნიშნული საკითხი და მხარს უჭერს წარმოდგენილ ცვლილებას,

ვ. ჭიპაშვილმა მერის პირველმა მოადგილემ აღნიშნა, რომ საკრებულოს მოთხოვნისა და შექმნილი მდგომარეობის გამო გავზარდეთ ბენეფიციართა რაოდენობა და გაიზარდა ხარჯიც, კულტურის ცენტრს შშმპ ბრაილის შრიფტის სწავლების და სხვა პროგრამების დასაფინანსებლად ასევე გამოეყო დამატებით თანხა, მან ასევე მოკლე განმარტება გააკეთა წარმოდგენილ ცვლილებებთან დაკავშირებით.

მ. ბარბაქაძემ, სხდომის თავმჯდომარემ რეპლიკის სახით აღნიშნა, რომ საკრებულოს შესაბამისმა კომისიებმა ჩვენს ხელში ავიღოთ, პროექტების მიმდინარეობის კონტროლი დაწყებიდან დასრულებამდე და მოუწოდა საკრებულოს წევრებს, ოპონენტებს, აქტიურად ჩაერთონ პარკის რეაბილიტაციის პროექტის განხილვაში, რაზედაც მათი მხრიდან გამოითქვა მზაობა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა მუხლობრივად ბიუჯეტის ცვლილება

კენჭისყრაზე დადგა საკითხი სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტებისათვის გამოიყოს 890,0 ათასი ლარი
კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 26 წევრი

მომხრე 21

წინააღმდეგი 0

თავი შეიკავა 5

საკრებულომ დაადგინა : გადაწყვეტილება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

კენჭისყრაზე დადგა საკითხი კულტურის ცენტში მოქმედი შშმ პირთა რესურსცენტრის ბენეფიციარებისათვის საგანმანათლებლო პროგრამის გასაგრძელებლად დამატებით გამოიყოს 12,0 ათ. ლარი.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 26 წევრი

მომხრე 24

წინააღმდეგი 0

თავი შეიკავა 2

საკრებულომ დაადგინა : გადაწყვეტილება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

კენჭისყრაზე დადგა საკითხი ა(ა)იპ სათნოების სახლისათვის აუცილებელი ხარჯების დასაფინანსებლად გამოიყოს 25,0 ათასი ლარი
კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 26 წევრი

მომხრე 26

წინააღმდეგი 0

თავი შეიკავა0

საკრებულომ დაადგინა : გადაწყვეტილება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

კენჭისყრაზე დადგა საკითხი

კენჭის ყრაზე დადგა საკითხი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის შემოსულობები **15 315 432** ლარი გაიზარდოს **890 000** ლარით და განისაზღვროს **16 205 432** ლარით.
კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 26 წევრი

მომხრე 26

წინააღმდეგი 0

თავი შეიკავა 0

საკრებულომ დაადგინა : გადაწყვეტილება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

კენჭისყრაზე დადგა საკითხი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გადასახდელები **18 355 677** ლარი გაიზრდოს **936 723** ლარით და განისაზღვრება **19 292 400** ლარით
კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 26 წევრი

მომხრე 26

წინააღმდეგი 0

თავი შეიკავა 0

საკრებულომ დაადგინა : გადაწყვეტილება მიღებული იქნეს (თან ერთვის

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსის ვლადიმერ გელაშვილის ინფორმაცია საკითხზე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 14 მარტის №7 დადგენილების ,,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სარეზერვო ფონდის განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ," ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ **(თან ერთვის)**

საკითხთან დაკავშირებით შეკითხვები არ დასმულა

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 26 წევრი

მომხრე 23

წინააღმდეგი 0

თავი შეიკავა 3

საკრებულომ დაადგინა : გადაწყვეტილება მიღებული იქნეს (თან ერთვის

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის ოთარ ლურსმანაშვილის ინფორმაცია საკითხზე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ხარაგაულისთვის" რეგისტრაციის ცნობად მიღების შესახებ **(თან ერთვის).**

აზრი გამოთქვეს:

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი ცნობად მიღების თაობაზე

საკრებულომ გადაწყვიტა : განკარგულება მიღებული იქნეს ცნობად (თან ერთვის).

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის ოთარ ლურსმანაშვილის ინფორმაცია საკითხზე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ხარაგაულისთვის" თავმჯდომარის არჩევის ცნობად მიღების შესახებ **(თან ერთვის).**

აზრი გამოთქვეს:

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი ცნობად მიღების თაობაზე

საკრებულომ გადაწყვიტა : განკარგულება მიღებული იქნეს ცნობად (თან ერთვის).

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის ოთარ ლურსმანაშვილის ინფორმაცია საკითხზე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ხარაგაულისთვის" თავმჯდომარის მოადგილის არჩევის ცნობად მიღების შესახებ **(თან ერთვის).**

აზრი გამოთქვეს:

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი ცნობად მიღების თაობაზე

საკრებულომ გადაწყვიტა : განკარგულება მიღებული იქნეს ცნობად (თან ერთვის).

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის ოთარ ლურსმანაშვილის ინფორმაცია საკითხზე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 03 დეკემბრის საკრებულოს N 50 /69.692133728 განკარგულებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს შემადგენლობის დამტკიცების შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა განკარგულების პროექტი ბიუროს შემადგენლობაში ცვლილების შეტანის თაობაზე

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 26 წევრი

მომხრე 26

წინააღმდეგი 0

საკრებულომ გადაწყვიტა : განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

დღის წესრიგით გათვალისწინებულ სხვადასხვა საკითხებიდან მოსმენილი იქნა საკრებულოს თავმჯდომარის ინფორმაცია, რომელმაც აღნიშნა, რომ ოპონენტის მიერ შემოვიდა წერილი ჩემი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლის გადაცემის თაობაზე, გადავწყვიტე საჯაროდ წარმოგიდგინოთ აღნიშნული დოკუმენტები და მან წარმოადგინა ყველა დიპლომი, განმარტებებით, რომელიც მას სხვადასხვა დროს ჰქონდა მიღებული და ბოლოს დასძინა, რომ კარგი იქნება თუ მე დავაკმაყოფილე აღნიშნული დოკუმენტების წარმოდგენით თორნიკე ავალიშვილის მოთხოვნა.

სხვადასხვა საკითხების მეორე საკითხთან დაკავშირებით ინფორმაცია წარმოადგინა საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ დავით კიკნაძემ, მან აღნიშნა უკრაინაში მიმდინარე მოვლენების შესახებ და საკრებულოს წევრებს, საკრებულოს აპარატს მოუწოდა მიეღოთ მონაწილეობა თანხის შეგროვებაში იმ შესაძლებლობების ფარგლებში რა საშუალებაც ექნებათ,

რათა ამ გზით დავეხმაროთ უკრაინის მოსახლეობას და გამოვხატოთ სოლიდარობა უკრაინელი ხალხის მიმართ.

ამით საკრებულოს სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე **მანანა ბარბაქაძე**